

საქართველოს კანონი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 144¹⁰ მუხლი:

„მუხლი 144¹⁰. ფილმის დემონსტრატორის მიერ ფილმის (მათ შორის, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმის) კინოდარბაზში ჩვენება პირველადი წარმოების ენაზე, საქართველოს სახელმწიფო ენაზე სავალდებულო სუბტიტრირების პირობის დაუცველად, ან არაპირველადი წარმოების ენაზე ჩვენება

1. ფილმის დემონსტრატორის მიერ ფილმის (მათ შორის, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმის) კინოდარბაზში ჩვენება პირველადი წარმოების ენაზე, საქართველოს სახელმწიფო ენაზე სავალდებულო სუბტიტრირების პირობის დაუცველად, ან არაპირველადი წარმოების ენაზე ჩვენება,-
გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით-
გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით.

3. იგივე ქმედება ჩადენილი მესამედ ან მეტჯერ,-
გამოიწვევს დაჯარიმებას 10000 ლარის ოდენობით.“;

2. 208-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 208. რაიონის (ქალაქის) სასამართლოების განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

რაიონის (ქალაქის) სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 42¹ და 42² მუხლებით, 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 44-ე-44³, 44⁵, 44⁶, 45-ე-56-ე, 57-ე-69-ე, 71-ე-78-ე, 79¹-82¹, 84-ე-86-ე, 88-ე-89³, 90-ე-91², 92², 94-ე-100², 103-ე-105¹, 105⁴, 128¹, 128², 143-ე-144¹, 144³-144⁵, 144¹⁰, 145-ე, 146¹, 148-ე-152-ე, 152²-154², 155¹-156-ე, 157¹-158¹, 159-ე-159⁹, 163-ე, 164-ე, 164⁴, 165¹-165³, 166-ე, 167-ე და 170-ე

მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 171¹, 172⁴, 172⁵, 173⁴, 173⁶, 173⁷, 173⁹, 173¹⁰, 173¹¹, 174¹, 174⁵, 174⁸-174¹⁴, 175¹, 175², 177⁸-178-ე, 179¹-183-ე, 187-ე-187², 189-ე, 191-ე (გარდა 191-ე მუხლის პირველი და 1¹ ნაწილებისა), 192-ე, 195-ე, 196²-196⁶ და 197¹ მუხლებით.”.

3. 239-ე მუხლის მე-10 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. ამ კოდექსის 88-ე და 144¹⁰ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს აღგენენ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს საამისოდ უფლებამოსილი პირები ან მისი მმართველობის სფეროში შემავალი ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.“ ;

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი